საქართველოს ძღიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№7 (6382) 17 იანვარი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულებამ საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ უაღრესად გაამწვავა მდგომარეობა ქალაქ ცხინვალში. სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ საგრძნობლად გააქტიურდნენ ოს ტერორისტთა ჯგუფები.

პრეზიდენტის ბრძანებულებით გამხნევებულმა ტერორისტებმა მოაწყვეს რამდენიმე თავდასხმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების საგუშაგოებზე. რის შედეგადაც დაიღუპა 7 და დაიჭრა რამდენიმე ათეული მილიციის თანამშრომელი.

სსრ კავშირის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება ერთერთი გამოვლინებაა კრემლის მიერ აღებული კურსისა ქვეყანაში ტოტალიტარული რეჟიმის აღორძინებისაკენ. ცენტრის დიქტატორული პოლიტიკა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც დემოკრატიული წესით არჩეული პარლამენტების ხელმძღვანელობით დაადგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზას.

სარგებლობს რა სპარსეთის ყურის კრიზისის უკიდურესი გამწვავებით და საქართველოს ტერიტორიის ამ რეგიონთან სიახლოვით, კრემლი, საბჭოთა არმიის დამატებითი ნაწილების შემოყვანით ფაქტობრივად აწზადებს საქართველოში დიქტატურას—საპრეზიდენტო მმართველობის სახით. ყოველივე ეს გამოიწვევს უკიდურეს დესტაბილიზაციას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიის რეგიონში.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნების ერთადერთი გზა ჩვენ შინაურ საქმეებში ცენტრის ჩაურევლობაა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით მოვუწოდებთ ყველა კეთილ ნების ადამიანს, მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს, ხმა აღიმაღლონ კრემლის დიქტატურის ახალი ტალღის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზვიად გამსახურდია

● ● ●

1991 წლის 12-13 იანვრის ღამეს ვილნიუსში საბჭოთა არმიის ნაწილები თავს დაესხნენ ლიტვის ტელეცენტრსა და ქალაქის დაწესებულებებს. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯარმა გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი და მძიმე სამხედრო ტექნიკა—საბჭოთა სამხედრო ტექნიკა. საბჭოთა სახმედრო ხელმძღვანელობამ ქალაქში შემოიღო კომენდანტის საათი. ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, განსაკუთრებული სასასტიკით გამოირჩეოდა თავდასხმა ტელეცენტრზე, სადაც ესროდნენ უიარაღო ხალხს და სრესდნენ სამხედრო ტექნიკით.

დაუზუსტებელი მონაცემებით, მოკლულია 15-ზე მეტი და დაჭრილია 150-ზე მეტი კაცი. დაკარგულია პრემიერ-მინისტრი შემენასი. ლიტვის უზენაესმა საბჭომ დანიშნა ახალი პრემიერი ვაგნორიუსი.

ვინაიდან ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობას გარს არტყია ლანდსბერგისის ათიათასობით მომხრე, სამხედრო ნაწილები ჯერჯერობით ვერ ბედავენ შენობის იერიშით აღებას და ცდილობენ სამოქალაქო პირთა შორის შეტაკებების პროვოცირებას. „ლიტვის ეროვნული ხსნის კომიტეტმა“, რომელიც ლიტვის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა, თავი თვითნებურად გამოაცხადა უზენაეს ხელისუფლებად და მოუწოდა თავის მომხრეებს დაიკავონ უზენაესი საბჭოს შენობა და დაითხოვონ პარლამენტი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ლიტველი ხალხისა და მისი კანონიერად არჩეული პარლამენტის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების გამო და სოლიდარობას უცხადებს ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტს.

ლიტვაში მიმდინარე მოვლენები მოწმობს, რომ საბჭოთა არმიაში იმარჯვებენ რეაქციული ძალები, რომელთაც სურთ ტოტალიტარული რეჟიმის განმტკიცება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გმობს ლიტვის სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ სისხლიან აგრესიას და მოითხოვს საბჭოთა არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გამოყვანას ლიტვიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

ზვიად გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს აღნიშნული განცხადება რეზოლუციის სახით ერთხმად მიიღეს 13 იანვარს მთავრობის სასახლის წინ ლიტვის რესპუბლიკის „. მხარდასაჭერად გამართული მრავალათასიანი მატინგის მონაწილეებმა.

სს „საქართველო“

შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა რესპუბლიკის მოსახლეობის, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების შრომითი კოლექტივების თხოვნა და შექმნა საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდი.

სსრ კავშირის აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკს დაევალა გახსნას შესაბამისი ანგარიშები დაქვემდებარებულ განყოფილებებში. რესპუბლიკის შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ამ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხა ყოველთვიურად გადაირიცხება აგრომრეწვბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საოპერაციო სამმართველოში გახსნილ ანგარიშზე.

ამ ფონდის სახელზე ამ ბანკის ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში უკვე გახსნილია მე-700 ანგარიში.

სს „საქართველო“,

შიდა ქართლში

ცხინვალიდან დაბრუნდა მილიციელთა ერთი ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქჯუალური ინტერვიუ

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ სამხრეთ ოსეთში ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარებამ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ გამოცხადებამ, ხელისუფლების უზურპაციამ თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, საფრთხე შეუქმნა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, სამოქალაქო სიმშვიდეს და აიძულა საქართველოს უზენაესი საბჭო გაეუქმებინა უკანონოდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების ნორმალიზაციის მიზნით ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადა საგანგებო წესები, შექმნილი სიტუაციისადმი კონტროლი დაევალა საქართველოს მილიციას და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებს.

ახლახან ქ. ცხინვალიდან დაბრუნდა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკთა ერთი ჯგუფი. ვბეჭდავთ ინტერვიუს ამ ჯგუფის ხელმძღვანელთან, შინაგან საქმეთა ცაგერის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილესთან ა. ჩიქოვანთან.

* * *

როდის ჩახვედით ცხინვალში და რა სიტუაცია დაგხვდათ იქ?

4 იანვარს ცაგერიდან წავედით 13 კაციანი ჯგუფი. ჩავედით გორში, სადაც გვქონდა შეკრება, ჩაგვიტარდა კონსულტაცია, მივიღეთ დავალებები და მეორე დღეს დილის 5 საათზე გავემგზავრეთ ქ. ცხინვალში. იქ ჩასვლისას სრული სიმშვიდე დაგვხვდა; ქალაქს ეძინა, არავითარი სროლის ხმა არ იყო, ქუჩაში მხოლოდ სამხედრო საპატრულო მანქანა თუ გაივლიდა.

რა დავალება ჰქონდა თქვენს ჯგუფს მიღებული და როგორ შეასრულეთ იგი?

ჩვენ და ჩვენთან ერთად რუსთავის შს განყოფილების 6 კაციან ჯგუფს მოგვცეს დავალება—ჩაგვეკეტა ცენტრში შესასვლელი გზები, კონტროლი გაგვეწია ცენტრალური საფოსტო განყოფილებისათვის და გაგვეტარებინა პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რაც ითვალისწინებდა იარაღის ამოღებას და საუბრებს მოსახლეობასთან. იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვმოქმედებდით, საცხოვრებელი ბინები დაცარიელებული იყო.

ჩვენი იქ ყოფნის პერიოდში ოსი ეროვნების მოქალაქეებისაგან ამოვიღეთ 1 ხელყუმბარა, 2 კვაპლმდენი ყუმბარა, 2 ცივი იარაღი, დავაკავეთ და შტაბში წარვადგინეთ 5 საეჭვო პიროვნება.

გქონდათ თუ არა შეტაკება ოსების შეიარაღებულ ჯგუფებთან?

ჩვენი ჩასვლიდან 2-3 დღის განმავლობაში გარეგნულად სიმშვიდე იგრძნობოდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს სიჩუმე საეჭვო და ავისმომასწავებელი იყო, დიდხანს არ გასტანდა და თადარიგიც გვეჭირა. 7 იანვარს პროგრამა „ვრემიამ“ პრეზიდენტის ბრძანებულება გადმოსცა, არ გასულა ამის შემდეგ ნახევარი საათიც კი, რომ ცეცხლი დაგვიშინეს, გვესროდნენ სახლების სახურავებიდან, ქუჩებიდან, მანქანებიდან, ჩვენ საპასუხო სროლა ავტეხეთ. იმ დღიდან მოყოლებული ყოველ ღამით გვესხმოდნენ თავს. მიუხედავად ამისა, შტაბიდან აქტიური მოქმედების ახალი მითითება არ მოუციათ, თავიდან კი მითითება იყო შემოფარგლული ვყოფილიყავით თავდაცვითა და პროფილაქტიკური ღონისძიებებით. მხოლოდ მილიციის იმ ჯგუფებმა, ვისაც მეგობრები მოუკლეს და დაუჭრეს, საკუთარი ინიციატივით შეუტიეს ოს ექსტრემისტთა ჯგუფებს, უკუაგდეს და ზიანიც მიაყენეს მათ.

საბედნიეროდ, ჩვენგან არავინ დაჭრილა. მე თან წამოვიღე ტყვია (უჯრა გამოაღო და ნასროლი ტყვია მაჩვენა—გ. ჩ), რომელიც იღბლად სანტიმეტრებში ამცდა და ხეს მოხვდა. ტყვია ავტომატიდანაა ნასროლი.

როგორც ტელეინფორმაციებიდან ვიცით, ოსები უკეთ არიან შეიარაღებული, ვიდრე მილიციის ნაწილები. თქვენ რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

შეიძლება ითქვას, შეიარაღებულ ოსთა ჯგუფებს ქართული მილიცია შიშველი ხელებით უპირისპირდება. ოსები შეიარაღებული არიან ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით, რაკეტებითაც კი, რომლებსაც თავიდან უმიზნოდ ისროდნენ, ჩანს ამ იარაღის ხმარება არ იცოდნენ. 11 იანვარს კი რაკეტებს ცეცხლი დაუშინეს შტაბის შენობას, ვფიქრობ, ამჟამად მათ სამხედრო მოსამსახურეები ეხმარებოდნენ.

ჩვენს ჯგუფში სრული სამხედრო აღჭურვილობით მხოლოდ ორი კაცი გვყავდა—ბესიკ კობალიანი და ზურაბ თუთისანი, დანარჩენები კი მაკაროვის სისტემის პისტოლეტებით ვიყავით შეიარაღებული.

ადრე მილიციაში კარგი შეიარაღება გვქონდა, მაგრამ აფხაზეთის ამბებთან დაკავშირებით, როცა გახშირდა მილიციის განყოფილებებზე თავდასხმები იარაღის გატაცების მიზნით, რამდენიმე ავტომატი და ტყვიამფრქვევი სამინისტრომ ჩამოგვართვა და მოსკოვში გაგზავნა. მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, მოსკოვიდან იარაღი აღარ დაუბრუნებიათ. დიდი რაოდენობით იარაღია გატაცებული სხვადასხვა რაიონების მილიციის განყოფილებებიდან.

რაც ახლა მინდა გითხრათ, შეიძლება ოფიციალურად ამის განცხადება არასწორი იყოს, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ ვთქვა: ცხინვალში ჩვენს მეზობლად პოზიციები ეკავა ბოლნისელ მილიციელთა ჯგუფს, არც მათ ჰქონდათ თავიდან სახარბიელო შეიარაღება, მათი რაიონიდან

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ვგმობთ ცენტრის დიქტატს

ერთიანობა თუ გადაგვარჩენს

საქართველოს ისტორიაზე თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დარწმუნდე რა სიძნელეების წინაშე იდგა იგი საუკუნეების მანძილზე, მაგრამ ქართველ ხალხში ყოველთვის იყო სულის სიმტკიცე, სარწმუნოებისადმი თავდადება, სამშობლოს სიყვარული და კიდევაც გამოდიოდა გამარჯვებული.

თუ მისი მეზობელი ხალხები, იმპერიები 20-25 საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე აღიგავენ მიწისაგან პირისა, ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა ენა, მამული, სარწმუნოება. მისი მრწამსი, ცხოვრების წესი ყოველთვის იყო სიკეთე, სამართლიანობა, სხვა ერებისადმი პატივისცემა. ჩვენი მიწაწყალი ყოველთვის აძლევდა თავშესაფარს სხვა ერებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებს, უქმნიდა პირობებს, ეცხოვრათ თანასწორად.

ამის დასტურად მარტო ჩვენი მთიანი კუთხეები რაჭა-ლეჩხუმიც კმარა, რომლებმაც საუკუნეებს წინათ შემოიკედლეს სომხები და ებრაელები, დაასახლეს ლაილაშსა და ონში, შეუქმნეს ცხოვრების ყოველგვარი პირობები და ბედნიერად ცხოვრობდნენ ქართველების გვერდით.

ასე აღმოჩნდნენ საქართველოში ოსებიც, რომლებიც დამკვიდრდნენ შიდა ქართლში და ნაწილობრივ რაჭის ტერიტორიაზე, და მკვიდრ მოსახლეობასთან თანასწორად შეექმნათ პირობები თავიანთი კულტურის, ისტორიის, ტრადიციების განვითარებისა.

მაგრამ იმპერია რა იმპერიაა, თუ მან ერებს შორის შუღლი არ დათესა. პრაქტიკულად არ გამოიყენა დევიზი: დაპყავი და იბატონე. ასე წამოეგო ოსი ხალხის ერთი ნაწილი სეპარატისტების და ექსტრემისტების ანკესზე და ახლა, როცა ქართველი ხალხი იბრძვის საუკუნოვანი ოცნების, საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად, მათ ქართველებთან უთანხმოება, მტრობა ამჯობინეს.

დღეს პრესა, რადიო თუ ტელევიზია სამაჩაბლოში მიმდინარე ამბებითაა დაკავებული. სატელევიზიო გადაცემები შემაძრწუნებელია. იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, იღვრება სისხლი. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან ვიცით, დაღუპულთა მეტი წილი ქართველებია. ეს იმიტომ, რომ ქართული მილიციის წარმომადგენლები ერიდებიან მსხვერპლს. ამით გათამამებული კბილებამდე შეიარაღებული ოსი ექსტრემისტები ყოველგვარ რისკზე მიდიან, არბევენ ქართულ ოჯახებს, კლავენ უდანაშაულო ადამიანებს.

ტელევიზიის 14 იანვრის მოამბეში გადმოცემული კადრები ვის გულს არ შეძრავდა, თუ როგორ ყვებოდნენ თბილისის მილიციის სკოლის კურსანტები ოს ექსტრემისტთა თავდასხმაზე კურსანტებით სავსე ავტობუსზე და დაღუპულ ამხანაგებზე.

ოსი ექსტრემისტების ბარბაროსობა კიდევ უფრო გააქტიურა, გააძლიერა სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 7 იანვრის ბრძანებულებამ, რამაც ყველა ქართველის გულში დიდი აღშფოთება, გულისტკივილი გამოიწვია. პრეზიდენტის ასეთ მოქმედებას განა შეუძლია შეუწყოს ხელი კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიან მოწესრიგებას? არა და არა.

დღეს მთელი საქართველო ფეხზე დგას. მთელი ქართველი ხალხის გულისთქმას ხმას უერთებენ ლეჩხუმელი მშრომელები. იმართება მიტინგები ცალკეულ წარმოება - დაწესებულებებში, რედაქციაში მრავლად მოდის წერილები ცალკეული მშრომელებისა, სადაც პროტესტს აცხადებენ პრეზიდენტის ბრძანებულებისადმი, გამოთქვამენ მზადყოფნას მხარი დაუჭირონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებას, რომელმაც გამოხატა ქართველი ხალხის პოზიცია პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულების გამო.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციასტამბის კოლექტივმა, ხმას უერთებს რა მთელი ქართველი ხალხის გულისთქმას, საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს.

სამართლიანად აღინიშნა ქალაქ ცაგერში 14 იანვარს გამართულ მიტინგზე—დღეს, ვისაც უყვარს საქართველო, იბრძვის სამართლიანობისთვის, საჭიროა მხოლოდ ერთიანობა, თანადგომა, ორგანიზებულობა, რაც მიგვიყვანს საბოლოო მიზანთან.

ნ. ნემსაძე.

ცხინვალიდან დაბრუნდა მილიციელთა ერთი ჯგუფი

(დასასრული).

ჩამოვიდნენ სხვადასხვა საზოგადოების, მხედრიონის წევრები და საბრძოლო იარაღი ჩამოუტანეს მილიციელებს, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბოლნისში იმ პერიოდში არც ერთი დანაშაული არ მომხდარა. სამწუხაროდ, ჩვენს რაიონში პირიქით მოხდა. როცა ჩვენ ტყვიების წვიმაში ვიდექით და, რომ იტყვიან, სიკვდილს თვალებში ვუყურებდით, ყველა გაჭირვებას ვუძლებდით, რადგან გვწამდა, რომ ეროვნულ საქმეს ვაკეთებდით, სწორედ მაშინ იმატა რაიონში დანაშაულთა რიცხვმა, თითქმის დღე არ გასულა ჩვენს აქ არ ყოფნის პერიოდში, რომ არ მომხდარიყო ქურდობა თუ სხვა დანაშაული. ეს ჩვენთვის ზურგში ჩაცემული ხანჯალია, ამაზე მეტი ფლიდობა, ღალატი რა უნდა იყოს.

ამბობენ, რომ სამაჩაბლოში შექმნილი სიტუაცია ოს ექსტრემისტთა ბრალია, ხოლო ოსი მოსახლეობის 80 პროცენტი ქართველებთან მეგობრულად ცხოვრების მომხრეა, თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

ჩვენ გვქონდა საუბარი ასაკოვან ხალხთან, რომლებიც გმობენ ამ მოვლენებს და ხედებიან, რომ ასეთი მოქმედება მათთვისაც დამღუპველია, მოუწოდებდნენ კიდეც ხალხს სიმშვიდისაკენ, მოითხოვდნენ ჩვენგან ამ სისხლიანი აქციის ლიდერთა დაჭერას. მაგრამ არა მგონია ოსების 80 პროცენტი ჩვენთან მეგობრობის მსურველი იყოს, ყოველ შემთხვევაში, სადაც ჩვენ ვიყავით, მეგობრულად განწყობილი ხალხი არ შეგვხვედრია. ქალები და ბავშვებიც კი ანტიქართულ განწყობას ამჟღავნებდნენ, არ გვაკლებდნენ ახასგვარ სალანძღავ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს. ხშირად ჩვენთვის გაუგებარ ენაზე რაღაცას ლაბარაკობდნენ, მაგრამ იმას კი ვხვდებოდით, რომ წყევლა-კრულვას გვიგზავნიდნენ.

რა შეფასებას აძლევთ ცხინვალში მიმდინარე მოვლენებს?

ჩვენი მიზანი ძირითადში იარაღის ამოღება იყო, მაგრამ **რაც** იქ ხდება, სამოქალაქო ომს უფრო ჰგავს, ვიდრე პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, უკვე გამოყენებულია ტანკები, ჯავშანტრანსპორტიორები, ტყვიამფრქვევები, ხელყუმბარები. ასეთ სიტუაციაში მოქმედებას თავისებური გამოცდილება და შეიარაღება სჭირდება, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია. მიუხედავად ამისა, მინდა აღვნიშნო ჩვენი ბიჭების ვაჟკაცობა. მათი მამაცური მოქმედება, სწრაფი და სწორი რეაქცია ექსტრემალურ სიტუაციაში. იმ ერთი კვირის განმავლობაში, რაც ჩვენ იქ დავყავით, ტყვიების წვიმაშიც კი არ მინახავს არც ერთი ჩვენი მუშაკის შეშინებული სახე.

11 იანვარს ჩვენს შესაცვლელად ჩამოვიდა 10 კაციანი ჯგუფი შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის ნუგზარ ზამთარაძის ხელმძღვანელობით. ჩვენი ჯგუფიდან მათთან დარჩა ბესიკ კოპალიანი და ნუგზარ კურტანიძე, თუმცა დარჩენის მსურველი ბევრი იყო. რამდენიმე დღეში მათ შემცვლელ ჯგუფს გავგზავნით და ასე... სანამ საჭირო იქნება.

ესაუბრა

გ. ჩარკვიანი.

14 იანვარს აღინიშნა ქართული თეატრის დღე

ჩემი პირველი სიყვარული

კაცობრიობის გარიჟრაჟი. ეკლიანი გზა ჭეშმარიტებისკენ. ზენაარის ძიება ყველგან, უფრო ზესკნელში. მისი შეცნობის დიდი წყურვილი, ძიება, კვეთება, წვდომა. მაინც ბოლომდე ვერგაცნობიერება. ღვთიური ნებით განსაზღვრული კაცთა ბუნება და სიცოცხლე. გაგებაც და ვერ გაგებაც. სურვილი შეუცნობლის ახსნისა, კაცთა ბუნებასა და ხასიათში წვდომისა, წუთისოფლის საიდუმლოს ამოხსნისა. იტევს და ვერც იტევს ყველაფერს ამჟ თეატრი—გარდასახვის უპირველესი და უძველესი ხელოვნება, თეატრი—ჩემი სიყვარული.

დრამა, ტრაგედია, კომედია, ფარსი—ცხოვრება სცენაზე, სახიობა, სულის, გრძნობისა და გონების დაუსრულებელი გამოცდა. გზა ჭეშმარიტებისკენ. სახმილი ნელი და მწვავე.

სახიობა, ქართული თეატრის პირველი ჩანასახი—მხიარული, ნამდვილ ხალხური სანახაობა. ნიღბები—სახის, გრძნობის... გულში სატევარგაჩრილი, სიყვლმდინარი საქართველო და დავით მაჩაბლის პირველი ქართული დასი. კრწანისი—საქართველოს ამაღლება და დაცემა. ბრძოლის ველზე ჩახოცილი მაჩაბლის ბიჭები. და ისევ:

„დაუკარით ძველებური
შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა
მაჩაბელი“.

ქართული თეატრი—საქართველო სცენაზე. მისი ისტორია და აწმყო, მისი მწუხარება და წამად ქცეული საუკუნის გამონათება, მცირე სიხარული და ღვთიური მისია—ყველაფერი, რაც საქართველოა, საქართველოშია და რაც ქართულია.

ქართული თეატრი-აკადემიური, კაცობრიობის უდიდესი თეატრალური ტრადიციების განმამტკიცებელი და მაინც თავისთავადი, ორიგინალური და „თვითრჯული“, მსოფლიოს განმაცვიფრებელი, გამოაგნებელი და ამფორიაქებელი, სოფოკლე და ქართული, შექსპირი და ქართული, ბრეჰტი და ქართული. გარდასახვის ქართული ხელოვნება.

ერთიანი ანდამატი აქვს სახიობას—აკადემიურსაც, დიდსა და ბრწყინვალე თეატრებში, დიდი და ბრწყინვალე მსახიობებისა და რეჟისორების მიერ გათამაშებულს და იმ პატარასა და მცირესაც, სოფლის დანჯღრეულ სცენაზე ან სულაც მოედანზე რომ წარმოადგენენ ბოფლის ბავშვები. ოღონდ გული თუ დევს მასში და სიყვარული.

წლები მიდიან, სიყვარული კი არ ნელდება, მას ზოგჯერ დიდი სიხარული და ნუტარება მოაქვს, აღფრთოვანებაც. არცთუ იშვიათად დანანება და მწუხარებაც კი, მაგრამ იმედი კი ყოველთვის ახლავს—ქართული თეატრის უკეთესი დღის იმედი. მერე რა, რომ მას არცთუ ულხინს, რომ ღარიბია და ფრთების ბოლომდე გაშლის სახსარი ჯერ არა აქვს. სიყვარული, რომელიც ანთია ხალხში, მისცემს მას სახსარსაც და იმის ძალასაც, რომ გახდეს უფრო მეტად ქართული, უფრო მეტად...

თეატრის დღეს ვულოცავთ ყველა თეატრალს, სცენის მოყვარეს, ვულოცავ ცაგერის სახალხო თეატრის ყველა თაობის რეჟისორებსა და მსახიობებს, ყველას, ვინც იწვოდა სცენაზე, ვისაც უხაროდა და უხარის ქართული თეატრის წარმატებები. მათვე ვუსურვებ ცხრათაგან ერთის—თეატრის მუზის მფარველობას, ბოლომდე დახარჯვასა და სცენურ მიღწევებს.

ია ხმელიძე.

ჩვენ გვნერენ

მადლობა ყურადღებისათვის

მიმდინარე წელს სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებაში წარსადგენად მჭირდებოდა სამამულო ომში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები. მივმართე რაიონის სამხედრო კომისარს შენგელიას. რომელმაც თავაზიანად, გულთბილად მიმიღო, სწრაფად მიპოვა ყველა ის დოკუმენტი, რაც მესაჭიროებოდა. მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ყურადღებისათვის, რაც კომისარმა ჩემი მისამართით გამოიჩინა.

ყურადღება და მზრუნველობა არც რაიონული აქტივის თანამშრომლებს დაუკლიათ ჩემი მოთხოვნისადმი—მოეძებნათ ჩემთვის აუცილებელი დოკუმენტები. მათ სულ მოკლე დროში მომაწოდეს ეს დოკუმენტები. მადლობელი ვარ მათ მიერ ჩემდამი გამოჩენილი მზრუნველობისთვის.

სემინარ ყურაშვილი,

ომისა და შრომის ვეტერანი.

სოფ. ნაკურალეში.

გზა

რაიონის მშრომელთათვის კარგადაა ცნობილი, რომ ცაგერის საგზაო სამმართველოს შრომითი კოლექტივი კეთილ საქმეს ემსახურება. მისი თითოეული წევრი ზრუნავს სამმართველოს ავტორიტეტისათვის, საჭიროების შემთხვევაში დღე და ღამ მუშაობენ, რომ არ შეწყდეს ტრანსპორტის მოძრაობა, მათ მეგობრობაც იციან და საქმეც.

ვაჟკაცური შრომის ფასად

კოლექტივის წევრები თითქმის ყოველთვის სადღესასწაულო დღეებში და განსაკუთრებით ახალ წელს იკრიბებიან და ულოცავენ ერთმანეთს დღესასწაულს, აჯამებენ წინა წლის შრომით შედეგებს, სახავენ მომავლის ამოცანებს. უსურვებენ თითოეულს და მთლიანად შრომ[illegible]ლექტივს ახალ წარმატებებს.

ასე იყო ახლაც. გზის მშენებლები ერთსულოვნად ემზადებოდნენ ახალი, 1991 წლის საზეიმოდ შეხვედრისათვის, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, 31 დეკემბერს წყალტუბო-ცაგერის გზაზე 44-ე კილომეტრზე ჩამოინგრა კლდე, ჩამონაშალი ჩაწვა საავტომობილო გზაზე, დაფარა გზა 50 მეტრზე, ნაშალის სიმაღლე 20 მეტრს აღწევდა. ბუნებრივია, შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა.

სასწრაფოდ იქნა აღნიშნულ ადგილზე გადაყვანილი 2 მძლავრი ბულდოზერი, მაგრამ ქანების ჩამოცვენა არ წყდებოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ კიდევ ჩამოინგრეოდა დიდი რაოდენობით ქვა-ღორღი. ასეთ ვითარებაში მუშაობა შეუძლებელი იყო. შემთხვევის ადგილზე დატოვებული იქნა მეთვალყურეები „კდ" ტიპის მანქანით, რომელზეც მოწყობილია რაცია, რომლითაც პირდაპირი კავშირი იყო მორიგეებთან. სამმართველოს ყველა მუშაკი ელოდებოდა მეთვალყურეებისაგან სიგნალს ქვა-ღორღის ცვენის შეჩერებაზე, რომ სასწრაფოდ შესდგომოდნენ ჩამონაშალი მასისაგან გზის გაწმენდას.

სამმართველოს შრომითი კოლექტივის წევრები ღამის 23 საათზე შეიკრიბნენ, ერთმანეთს მიულოცეს დამდეგი 1991 წელი, უსურვეს ახალი წარმატებები, მიზნად ჰქონდათ დასახული რადაც უნდა დაჯდომოდათ ახალი წლის პირველ დღეს აღედგინათ ტრანსპორტის მოძრაობა წყალტუბო-ცაგერის გზაზე.

ღამის 3 საათზე მეთვალყურეებმა რაციით გადმოსცეს, რომ ძირითადად ჩამოიშალა დაბზარული ქანები, შეწყვეტილია ქვის ცვენა და შეიძლება მუშაობა. იმ წამსვე აგუგუნდნენ მძლავრი ბულდოზერები, მომუშავე პირველ ჯგუფს საათავეში ჩაუდგა სამმართველოს უფროსი ო. გიორგობიანი. მძლავრი მექანიზმები შეუდგა ჩამონაშალი მასისაგან გზის გაწმენდას. 9 საათსა და 45 წუთზე მათ შეუერთდა მეორე ჯგუფი და ყველა ენერგიის დაუზოგავად შრომობდა.

კარგად იშრომეს მექანიზატორებმა რუბენ გოგიძემ, გოგი ბენდელიანმა, ვაჟა კოპალიანმა, ვენედი კვირკაშვილმა და სხვებმა. მათ საზრიან და გაბედულ მოქმედებას განცვიფრებაში მოჰყავდათ მგზავრები, რომლებიც გზის გაწმენდას ელოდებოდნენ.

10 საათი შეუჩერებლივ მუშაობდნენ მექანიზმები, ადამიანები და უკვე დღის 3 საათზე აღდგენილი იქნა ავტოტრანსპორტის მოძრაობა, მგზავრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს მექანიზატორებს, შრომით კოლექტივს, მათ ხელმძღვანელობას, რომლებმაც ყველაფერი იღონეს საავტომობილო გზის დროულად გაწმენდისა და ტრანსპორტის შეუფერხებლად მოძრაობისათვის.

ქვა-ღორღის ჩამოყრა კვლავ გრძელდება, მაგრამ იქ მდგომი მძლავრი ბულდოზერი, რომელსაც გამოცდილი მემანქანე რუბენ გოგიძე მართავს, სწრაფად წმენდს გზას და ავტომანქანების მოძრაობა არ ფერხდება.

ახალ წელს ახალ წარმატებებს ვუსურვებთ სამმართველოს შრომისმოყვარე და მეგობრულ კოლექტივს.

შ. ლარცულიანი.

სტალინი თამაშობს სტალინს

იგი შვიდი წლისა იყო, როცა დაეღუპა მამა—ზაქსენჰაუზენის ოფიცერთა საკონცენტრაციო ბანაკის პატიმარი. ეს მოხდა 1943 წლის აპრილში. მამა არასოდეს უნახავს—მშობლები ჯერ კიდევ მის დაბადებამდე დაშორდნენ ერთმანეთს. ათი წლის ბიჭი ბაბუის მოთხოვნით კადეტთა სასწავლებელში, ეგრეთ წოდებულ სუვოროვის აკადემიაში მიაბარეს. 17 წლის რომ იყო, ბაბუამისი გარდაიცვალა, ისე, რომ ცოცხლად ერთხელაც არ უნახავს, რადგან ბაბუას არ ეცალა შვილიშვილებისთვის—იგი საკაცობრიო საქმეებით გახლდათ დაკავებული.

დღეს ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი 54 წლისაა და საბჭოთა არმიის პოლკოვნიკის წოდება აქვს. საკმარისია მას შეხვდეთ, რომ ლამის სასწაული ირწმუნოთ: მისი სახე, გამოხედვა, ულვაში, მისი იერი, სიარული—ყველაფერი იოსებ სტალინისაა. ჯუღაშვილის ბინაში, მდინარე მოსკოვის სანაპიროზე, ყველგან ნახავთ დიქტატორისა და მისი შვილის, იაკობის ფოტოსურათებს—კედლებზე, წიგნის კარადაში. სტუმრებს მასპინძელი აფრთხილებს: „გთხოვთ, პროვოკაციულ შეკითხვებს ნუ დასვამთ".

ამას წინათ ევგენი ჯუღაშვილმა თავისი ბაბუის როლი შეასრულა ახალ მხატვრულ ფილმში. თუმცა, იგი „ნამდვილ" ცხოვრებაშიც ბაბუის მაგალითით ცხოვრობს. ბოლოსდაბოლოს, სანხედრო ისტორიის სპეციალისტი გახდა, დაწერა დისერტაცია ვიეტნამის ომზე, ასწავლის ისტორიას მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.

იოსებ სტალინზე აუგს არავის ათქმევინებს. სტალინზე ბოლო წლებში შექმნილი აურაცხელი ლიტერატურა, იქნება ეს მხატვრული (როგორც, მაგალითად, რიბაკოვის „არბატის შვილები"), თუ დოკუმენტური (ვოლკოგონოვის 800-გვერდიანი სტალინის ბიოგრაფია), მისთვის მხოლოდ და მხოლოდ „ნაგავია". „მიმიფურთხებია", ამბობს შვილიშვილი. ეს სიტყვა მისი ყოფილი პედაგოგის ვოლკოგონოვის შრომასაც ეკუთვნის. „უწინ იგი აღმერთებდა სტალინს. მერე დადგა დრო, როცა სტალინი ჭუჭყში ამოსვარეს, და მანაც არ დააყოვნა. როცა მაო ჩვენი მეგობრიდან მტრად იქცა, ვოლკოგონოვმა მაშინაც სასწრაფოდ აუღო ალღო დროის მოთხოვნას და დაიწყო იმის წერა, რასაც უკვეთავდნენ. ეგ ისეთი კაცია, საკუთარ დედასაც არ დაინდობს, თუკი ამაში რაიმე სარგებელს ნახავს".

შვილიშვილს უფრო ნეტად სტალინის თანამედროვეებისა და თანამებრძოლების სჯერა—მარშალ ჟუკოვისა და სხვა კალმოსანი მხედართმთავრებისა. სტალინის დროს—ამაში შვილიშვილი დარწმუნებულია—საბჭოთა კავშირი დიადი ქვეყანა იყო. ახლა? „ჩვენ ვმათხოვრობთ ძეხვს, პურს, პრეზერვატივებს, განვითარებად ქვეყნებზე უარეს დღეში ვართ. სტალინის დროს ხორცის მაღაზიები გაძეძგილი იყო 10-15 სხვადასხვა სახის ძეხვით, დღეს მხოლოდ ერთი სახის ძეხვიღა არსებობს, ისიც თეორიულად, და არა მაღაზიაში".

ევგენი ჯუღაშვილი კომუნისტია, რაც თავი ახსოვს. ჯარისკაცის ფორმის ტარებას ბავშვობიდან დაჩვეულია. ხოლო როცა საუბარი სტალინიზმზე ჩამოვარდება, წას მაშინვე ქვეყნის ძლიერება აკერია პირზე. მთელი ნახევარი წელი დასჭირდა იმას, რომ იგი კინოფილმში გადაღებაზე დათანხმებინათ. „მე ოფიცერი ვარ და არა მსახიობი", უთხრა მან რეჟისორ დევი აბაშიძეს.

მაგრამ რეჟისორი არ მოეშვა—ჩვენს ოცწლიან მეგობრობას არად ჩავაგდებ, დაგკარგავო. ფილმი პრაქტიკულად მზად იყო, ოთხად ოთხი სცენაღა ჰქონდათ გადასაღები—სტალინის მონაწილეობით. ამ სცენების გადაღება სულ ორ დღეს გაგრძელდა: მოსკოვის კრემლის ეზოში და სტალინის სამუშაო ოთახში, რომლის დეკორაცია საქართველოში, თბილისში მოაწყვეს. აბაშიძე მეტად კმაყოფილი დარჩა: „საბჭოთა კავშირში არაერთ ცნობილ მსახიობს უცდია სტალინის განსახიერება და ყოველი ახალი ცდა მხოლოდ ერთს ამტკიცებდა: სტალინს ვერ ითამაშებ კაცი. ევგენის არ შეეძლო თამაში და არც უცდია ამის გაკეთება. ის თვითონ არის სტალინი—ნორჩა და გათავდა,—ასე აფასებს რეჟისორი თავისი მეგობრების კინოდებიუტს. ამ უკანასკნელის მიზანი კი გახლდათ—არც მეტი, არც ნაკლები—უაღრესად მოკლე საეკრანო დროში ეჩვენებინა ადამიანის ტრაგედია.

„კაცი, რომელმაც საკუთარი შვილის გადარჩენა არ ისურვა და სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა მისი სიცოცხლე, რა კაცი უნდა ყოფილიყო იგი?" ამ სიტყვებს ისე წარმოთქვანს, თითქოს სულაც არ ანიჭებდეს მნიშვნელობას იმას, რომ საქმე მის საკუთარ ბაბუასა და მის საკუთარ ნამას ეხება. სტალინმა უარი განაცხადა ნაცისტების წინადადებაზე, მისი შვილი ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ გენერალზე გაეცვალა: „არ არსებობს არავითარი სტალინის შვილი გერმანელთა პატიმრობაში".

ამ გაღაწყვეტილების სისწორეში შვილიშვილიც დარწმუნებულია. იმ დღეს, როცა გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, თავისი შვილის, იაკობის შეკითხვას, როგორ მოვიქცეო, იოსებ სტალინმა მოკლედ უპასუხა: „წადი ფრონტზე. ომი ყველასთვის ომია".

სწორედ ამიტომ შვილიშვილისთვის ნათელია ფილმის ძირითადი აზრი. „მისი მთავარი იდეა სრულიად მარტივია: პატრიოტიზმის ჩვენება. ჩვენში ასეა მოდაში იქცა საკუთარი ეროვნის ბინძურ ან გასწორება და ამგვარად თავის მოწონება—მიყურეთ რა ყოჩაღი ბიჭი ვარო". ამასთან დაკავშირებით, აბაშიძე ამბობს, არ მსურს ჩემს მეგობართან და მსახიობთან კამათის გაჩაღებაო. „მე გადავიღე ფილმი არა სტალინზე, არამედ მის შვილზე იაკობ ჯუღაშვილზე. ის ინსახურებს ამას: ბოლოსდაბოლოს, იგი ტრაგიკულად დაიღუპა. ჩემთვის სტალინი სასტიკი პიროვნებაა, კაციჭამია. მაგრამ რა შვილიშვილი იქნებოდა ევგენი, მასაც რონ ასე ეფიქრა?".

აბაშიძე 13 წლის იყო, როცა სტალინის საიდუმლო პოლიციამ მამა დაუხვრიტა. ცოტა ხანში მისი ძმაც დაიღუპა. მაგრამ ყოველივე ამას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს რეჟისორისა და სტალინის შვილიშვილის მეგობრობაზე: „სულაც არ არის აუცილებელი, რეჟისორსა და მსახიობს ერთი და იგივე პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდეთ. ის, რაც ჩვენ გვაკავშირებს, გაცილებით მნიშვნელოვანია: ორივენი ქართველები ვართ".

ეს 95-წუთიანი ფერადი მხატვრული ფილმი მალე გერმანიის ეკრანებზე გამოვა. საბჭოთა კავშირში კი ჯერჯერობით მისი მხოლოდ ქართული ვარიანტი არსებობს—რუსული არ მოუმზადებიათ, რადგან ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მოსკოვის კინოგაქირავებაც შეიძენს თუ არა ფილმს „იაკობი, სტალინის შვილი".

აბაშიძემ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ მიზნად არ დაუსახავს სტალინის პორტრეტის შელამაზება. „უბრალოდ მინდოდა მეჩვენებინა, რომ ისიც ადამიანი იყო. ჩემთვის მთავარი იყო მესაუბრა ადამიანთა ფსიქოლოგიაზე, არ მიფიქრია ისტორიული დოკუმენტის შექმნა". საბჭოთა კავშირში ეს ცოტა ხნის წინათ ოფიციალურად გაუქმდა ცენზურა, მაგრამ არსებობს სხვა საშუალებებიც, კინოთეატრებისკენ გზა გადაულობონ ამა თუ იმ ფილმს. მით უფრო ისეთს, რომელშიც ნაცისტურ უნიფორმებში გამოწყობილი მსახიობები გამუდმებით არ ღრიალებენ, ქუსლებს არ აბაკუნებენ და წამდაუწუმ არ იქნევენ ხელს ჰიტლერული მისალმების ნიშნად. ფილმს, რომელშიც ისეთი ფიგურაც კი, როგორიც სტალინია, იმდენად უჩვეული კუთხით არის დანახული, რომ მაყურებელში ინტერესსა და თანაგრძნობას უფრო იწვევს, ვიდრე ზიზღს.

აბაშიძეს ნაკლებად აწუხებს ის, რომ მისი ფილმი ესოდენ ანელად მიიკვლევს გზას მაყურებლისკენ: „რამდენი კაცი ნახავს ჩემს ფილმს—ერთი მილიონი თუ ორმოცდაათი, მატერიალური თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის—ჰონორარზე ერთ კაპიკსაც არ დამიმატებენ. ცხადია, მოხარული ვიქნები, თუ სურათს ბევრი მაყურებელი ეყოლება"...

პეტერ ბირნი.
ჟურნალი „შტერნი".

ექსკრასენსი სტუმრად ჟურნალისტებთან

საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტის" ჟურნალისტთა სტუმარი ოთხშაბათობით ტრადიციულ შეხვედრებზე გახდა ცნობილი მკურნალი ექსტრასენსი მზია ლევაშოვა.

საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ არა მარტო ის ხალხი, ვინც წერს და იღებს, არამედ ისინიც, ვისაც სმენია „უცხოპლანეტელის", როგორც ის ხანდახან თავისთავს უწოდებს, არაჩვეულებრივი შესაძლებლობების შესახებ.

—მე მინდა, რომ ყველა ადამიანი განიკურნოს სხვადასხვა სენისაგან. გაიწმინდოს სიძულვილისაგან. აუცილებელია ქვეზარდოთ ჩვენში ნებისყოფა, არ ვუპასუხოთ ბოროტებას ბოროტებით და თუ თითოეული იმუშავებს ამ მიმართულებით, მაშინ ბოროტება გაქრება ამ ქვეყნიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში—კაცობრიობას დაღუპვა ემუქრება—თქვა მზიამ თავის გამოსვლაში.

მრავალრიცხოვანი შეკითხვები, რომლებიც დაისვა საღამოზე, ეხებოდა არა მარტო მიმდინარე ცხოვრების და მოვლენების სხვადასხვა ასპექტებს, არამედ მომავალსაც. „შემიძლია შეგებრძოლეთ მყარად: უახლოეს მომავალში დედამიწაზე კატასტროფა არ მოხდება",—ასეთი ოპტიმისტური ნოტით დამთავრდა ეს არაჩვეულებრივი საღამო.

სურათზე: მზია ლევაშოვა და მხატვარი იგორ ანსიფიროვი.

რ. ნეტელმვასის ფოტო.

საკრედესის ფოტოქრონიკა

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**ელიკო გიგლას ასულ კოპალიანს
ელგუჯა ვასოს ძე ეპიტაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. ულევი სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

**ელიკო გიგლას ასულ კოპალიანს
ელგუჯა ვასოს ძე ეპიტაშვილს**

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. აკვანთა სიმრავლეს გისურვებთ.

ალიკო ირემაძე, სოსო მახარობლიძე, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით.

**ირმა გენადის ასულ ჭოხონელიძეს
ელგუჯა გეგლარის ძე ცერცვაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ გამრავლებას, სიხარულს და სიყვარულს.

ნატო, მაკა, რამაზ ბრეგვაძეები.

**ლალი გედას ასულ ახვლედიანს
მირზა ავთანდილის ძე ხეცურიანს**

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული, სიხარული და სიმშვიდე იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი. გემრავლებინოთ ქართველი ერი.

ნაზი, მერი ხეცურიანები, ცისკარა ვარდანიძე.

გილოცავთ

**ნანი შალვას ასულ მანაგაძეს
თამაზ ვალერიანის ძე ჩიქოვანს**

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

საშა კონსტანტინეს ასულ კოპალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

ლავრენტი (ლავნიკო) გრიგოლის ძე გოგიბაშვილს

გილოცავთ დაბადებიდან 60 წლის შესრულებას. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ქეთო, მერაბ, მირიან, მადონა გოგებაშვილები, ციცინო ხვადაგიანი, ლარნეტა მურცხვალაძე, იგორ ქარსელაძე.

**თინათინ დიმიტრის ასულ მუშკუდიანს
რამაზ შოთას ძე სალინაძეს**

გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი.

სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

ლავრენტი გრიგოლის ძე გოგებაშვილს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს.

ბიქტორ უგრეხელიძე ოჯახით.

**ნანული გერონტის ასულ სიდაგაძეს
გურიკო ჟორას ძე სიდაგაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს.
გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს მრავალჟამიერ.

ზურიკო, ნინიკო სილაგაძეები.

მირანდა ვაჟას ასულ ლიპარტელიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ფრიადზე სწავლას, აღზრდილიყო სასახელო გოგონა.

გელა, მედიკო, თემურ, თამილა, სოსო, ელისო ლიპარტელიანები.

დ. ს. ჭაბუკიანი

გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1944 წლიდან, პერსონალური პენსიონერი დიომიდე ხამსონის ძე ჭაბუკიანი.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, კეთილი და პატიოსანი პიროვნება, სამაგალითო მეგობარი და ამხანაგი.

დ. ჭაბუკიანი დაიბადა 1914 წელს ცაგერის რაიონის სოფელ დეხვირში. 1936 წელს დაამთავრა ცაგერის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო თავის სოფლის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. 1938 წელს ჩაერიცხა ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1939 წლის ოქტომბერში დ. ჭაბუკიანი გაწვეულ იქნა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, სადაც მოუსწრო მეორე მსოფლიო ომმა. იგი მამაცურად ებრძოდა მტერს ტირასპოლთან, ოდესასთან, სხვა ადგილებში. 1942 წელს მიღებული მძიმე ჭრილობის გამო დემობილიზებული იქნა არმიიდან და მუშაობა დაიწყო საქართველოს ალკკ ცაგერის რაიკომის აღრიცხვის განყოფილების გამგედ.

შემდგომ წლებში დიომიდე ჭაბუკიანი მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იყო რაიონის შემნახველი სალაროს გამგე, საარაიონთაშორისო დამზადების კანტორის დირექტორი, სოფლის კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარე, ცაგერის სატუმროს, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი და სხვა.

სადაც კი უმუშავნია, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, იჩენდა პრინციპულობას და საქმისადმი სიყვარულს.

სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას. წლების განმავლობაში იყო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ითვლებოდა რაიონის პარტიული და საბჭოთა აქტივის რიგებში.

დ. ჭაბუკიანის ღვაწლი ჯეროვნად და[illegible] [illegible] იყო დ[illegible] [illegible] ველი ხარისხის ორდენით, 9 საბრძოლო მედლით, მიღებული ჰქონდა არა ერთი მადლობა, დიპლომი და სიგელი.

დ. ჭაბუკიანის ხსოვნა არასოდეს წაიშლება მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

ძმა ნოდარ, მეუღლე ლამარა, შვილები მარინე, ელისო, ძმა რეზო, შვილიშვილი რეზო, სიძე ვალერი ბენდელიანი, რძალი ელზა, ძმისშვილები ხათუნა, ნათია, თამუნა, ბიძები შოთა მუშკუდიანი, აკაკი ბრეგვაძე, მამიდები სონია, გუგული, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური არტემის ძე მუშკუდიანი

დაკრძალვა 19 იანვარს, შაბათს სოფ. ლასურიაში.

და ლუბა, სიძე ვანო ლეთოდიანი, დისშვილები ცირა, ჯანიკო, ნანული, ტარიელი, სიძე გურამ იობიძე, რძალი მანანა ნემსწვერიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა ტარიელის ასული კოპალიანი-ირემაძე.

ლამარა კოპალიანი, მერი ხაბულიანი, ახმათ მეშველიანი, რუსუდან ომანაძე, ცაცა ქლიბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიომიდე ჭაბუკიანი.

არჩილ, შოთა, მურთაზ, საშა ჩაკვეტაძეები, ნოდარ, შალვა ცვარიანები, რომეო მანდარია, შიო ახვლედიანი, სამსონ კოპალიანი, ლევან ჩიქოვანი, გივი ქარსელაძე, აბესალომ გოგიძე, ოთარ ყურაშვილი, რუსუდან ახვლედიანი, მიშა ბერიძე, სერგო მიქაძე, ტარიელ სალინაძე, ვილგემ, თენგიზ კოპალიანები, სერიოჟა ღურჭუმალიძე, ზურაბ კუხალაშვილი, ალექსანდრე ცვარიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიომიდე ჭაბუკიანი.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ვალერი ლაკვეხელიანს ბაბუის

ალფეზ ლაკვეხელიანის

გარდაცვალების გამო.

იულო ახვლედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რაინდი (რეზო) გუგავა

მეუღლე მზეთანი, ბიძა იულო ახვლედიანი, დეიდა ვერა, ბიცოლები კატია, ვერა, მარგალიტა, ლუბა, სიდედრი თინა, ცოლისძმა თემური, ცოლისდები ნარგიზა, მანანა სილაგაძეები, ბიძაშვილები გურამ, მერი, მარო, როლანდი, ომარი, ლია, ციალა, ოთარ, მზია, ელიკო გუგავები, ცირა, თინიკო, ოთარ ახვლედიანები, რძლები გულნარა, ირმა, ნაირა, თინა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაინდი (რეზო) ალექსანდრეს ძე გუგავა

დაკრძალვა 19 იანვარს, შაბათს, სოფ. უსახელოში.

მურმან გრიშას ძე ბახსოლიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჯანო ტარიელის ძე ჩანქსელიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

იური კაჭკაჭაშვილი, მუქური ყუბუსიძე, რამაზ ახვლედიანი, ლერი სალინაძე, შერაგი ყვირილიანი, ჯემალ ჩიკვაიძე, მურად მუკბანიანი ოჯახებით იუწყებიან

დიომიდე ჭაბუკიანის

გარდაცვალებას.

ლეო ელბაქიძე, ფრიდონ კუხალაშვილი, ლოლა ჩაკვეტაძე, ტარიელ, შადიმან დავითულიანები იუწყებიან

დიომიდე ჭაბუკიანის

გარდაცვალებას.

შოთა ვარლამის ძე ლიპარტელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დიომიდე ჭაბუკიანი.

ცაგერის კინოფიკაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლუბა, მამუკა, ციალა გოგიძეებს მეუღლისა და ბაბუის

დიომიდე ჭაბუკიანის

გარდაცვალების გამო.

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციალა ონიანს სიძის

ვალიკო კეციანის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

ბიძაშვილები გურამ გუგავა, მერი შეკიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო ალექსანდრეს ძე გუგავა

თემურ, სიბიტო, სეით სილაგაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაინდი (რეზო) გუგავა

ქალაქის ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებნი თანაუგრძნობენ მაგული და თემურ სილაგაძეებს სიძის

რეზო გუგავას

გარდაცვალების გამო.

რეზო ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

კუკური მუშკუდიანი.

ბიძაშვილები ალიოშა, ნელი, მერი ბრეგვაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური არტემის ძე მუშკუდიანი

ქვედა ცაგერის საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზოია ტვილდიანს ბიძის

ჭიჭიკო ტვილდიანის

გარდაცვალების გამო.

აკაკი, იური, რომან ბრეგვაძეები, ანზორ დავითულიანი, რომან ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური არტემის ძე მუშკუდიანი.

ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ელისო, სონა და დემურ გოლეთიანებს

შმაგი ქომეთიანის

გარდაცვალების გამო.

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი მასწავლებელი

რეზო ალექსანდრეს ძე გუგავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ლილი კანაჩაძეს მაზლის

ანზორ კანაჩაძის

გარდაცვალები გამო.

ვაჟა, თემურ გუგავები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რაინდი (რეზო) ალექსანდრეს ძე გუგავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. შეკვეთა №1 ტირაჟი 4518

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.